საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№501 2019 წლის 4 დეკემბერი ქ. თბილისი

ი. მაჭავარიანისათვის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრს ივანე მაჭავარიანს მიენიჭოს, „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა)“ ხელმოწერის უფლებამოსილება.

გიორგი გახარია